

შპს „TECHNOLOGY SERVICE-A“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს „TECHNOLOGY SERVICE-A“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს „TECHOLOGY SERVICE-A“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი

საქმიანობის შედეგები 31.12.2020

ფინანსური მდგომარეობა 31.12.2020

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 31.12.2020

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 31.12.2020

განმარტებითი შენიშვნები

შპს „TECHNOLOGY SERVICE-A“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2020 წლით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;

ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესაძარის და გასაგებ ინფორმაციას

დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია

კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;

ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მის ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;

სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;

კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და

თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 07 ივლისს.

ალექსანდრე ხუნდაძე
დირექტორი



ნატო ბირჩაძე
მთავარი ბუღალტერი

შპს „TECHNOLOGY SERVICE-A“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

საქმიანობის შედეგები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

გ/შ	2020	2019
შემოსავალი რეალიზაციიდან	2.904.669	2.447.209
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(2.298.922)	(2.053.257)
საერთო მოგება	605.747	393.952
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(197.394)	(252.889)
ფინანსური ხარჯი, ნეტო	(17.932)	(13.319)
მოგება დაბეგვრამდე	390.421	127.744
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
წლიური მოგება	390.421	127.744

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 07 ივლისს.

ალექსანდრე ხუნდაძე
დირექტორი



ნ. ბიჩაძე

ნატო ბირჩაძე
მთავარი ბუღალტერი

შპს „TECHNOLOGY SERVICE-A“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

გ/შ	2020	2019	2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები	3,084	3,655	4,410
ძირითადი საშუალებები	-	-	-
არამატერიალური აქტივები	3,084	3,655	4,410
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	995,648	796,932	738,782
სხვა ავანსად და სესხებად გაცემული	46,839	1,082	-
ფულადი სახსრები	369,594	344,654	415,470
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	238,337	156,604	36,622
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,650,418	1,299,272	1,190,874
სულ აქტივები	1,653,502	1,302,927	1,195,284
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი	-	-	-
მფლობელთა კაპიტალი	1,182,031	791,588	663,844
გაუნაწილებელი მოგება	1,182,031	791,588	663,844
გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-	-
გრძელვადიანი სესხი ბანკისგან	-	-	-
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხი ბანკისგან	-	13,046	1,830
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	471,471	498,293	529,610
	471,471	511,339	531,440
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	1,653,502	1,302,927	1,195,284

დაშტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 07 ივლისს.

ალექსანდრე ხუნდაძე
დირექტორი



ნ. ზიჩი
ნატო ზორჩაძე

მთავარი ბუღალტერი

შპს „TECHNOLOGY SERVICE-A“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	მფლობელთა კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	663.844	663.844
წლიური მოგება	-	127.744	127.744
წინა პერიოდების კორექტირება	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	794.588	794.588
წლიური მოგება	-	390.421	390.421
წინა პერიოდების კორექტირება	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	1.182.009	1.182.009

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 07 ივლისს.

ალექსანდრე ხუნდაძე
დირექტორი



ნატო ბირჩაძე
მთავარი ბუღალტერი

შპს „TECHNOLOGY SERVICE-A“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	2020	2019
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	81.733	119.982
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	0	0
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	156.604	36.622
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	238.337	156.604

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 07 ივლისს.

ალექსანდრე ხუნდაძე
დირექტორი



ნ. ზიჩიძე
ნატო ბირჩაძე

მთავარი ბუღალტერი

შპს „TECHNOLOGY SERVICE-A“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

TECHNOLOGY SERVICE-A (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის რეგისტრირებული ოფისი მდებარეობს თბილისი დიდუბე ჩუღურეთის რაიონი, კოსმონავტების სანაპირო 23

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საცალო და საბითუმო ვაჭრობა რკინა კავეულით წყალგაყვანილობის და გასათბობი მოწყობილობებით და ინვენტარით.

კომპანიის მფლობელები არიან ორი ფიზიკური პირი:

1. პ/ნ 01027038972 ანა ჩიჩუა 50%
2. პ/ნ 01032001188 ალექსანდრე ხუნდაძე 50%

2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (IFRS for SMEs) შესაბამისად.

ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში („ლ“) და მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია შემდეგი ნორმატიული აქტების საფუძველზე:

საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები

შპს „TECHNOLOGY SERVICE-A“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

განმარტებითი შენიშვნები

საწარმო იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებითა და ბუღალტრული აღრიცხვის ,ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად მოქმედ ანგარიშთა გეგმას .

ძირითად საბალანსო ანგარიშებს შესაძლებელი დაემატოს საჭიროებისამებრ ქვეანგარიშები .ბუღალტრული აღრიცხვა ხორციელდება ელექტრონული ფორმით საბუღალტრო პროგრამა ORIS ში.

3. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და ნაღდ ფულს სალაროში. ფულადი სახსრები ასახულია ნომინალით.

კომპანიის საბანკო ანგარიშები განთავსებულია ორ ბანკში: სს ვითიბი ბანკი და სს პროკრედიტ ბანკი

4. შემოსავლის აღიარება

შემოსავლები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით

მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ამონაგები ბალანსის შედგენის თარიღისათვის აღიარდება ხელშეკრულების შესრულების სტადიის შესაბამისად ,თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების შედეგების საიმედოდ შეფასება .

შემოსავალი აღიარდება, როცა მოსალოდნელია, რომ ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს კომპანია და შემოსავლის გაზომვა საიმედოდაა შესაძლებელი. შემოსავალი არის საქონლის რეალიზაციიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას გამოკლებული უკან დაბრუნებები, გაყიდვებზე დამოკიდებული გადასახადები (მაგალითად, დღგ).

რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება რეალიზაციის გაწევის თარიღში.

5. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური ფასეულებები შემოსავალში აიღება შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოცავს შეძებასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს.

სასაქონლო მატერიალური მარაგების აღრიცვის მეთოდია - უწყვეტი -

სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა თვითღირებულების განსაზღვრის მეთოდია „საშუალო შეწონილი“

სასაქონლო მატერიალური მარაგები კომპანიაში შემოდის როგორც ადგილობრივი შეძენებით ასევე იმპორტით (თურქეთი, აზერბაიჯანი)

მოხმარებისათვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების საქონელი მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს

-100 ლარამდე ღირებულების ინვენტარი და ნივთები მარაგებში არ აისახება და ექსპლუატაციაში გადაცემისთანავე მიეკუთვნება საოფისე ხარჯებს (კალკულატორი, ტელ. აპარატი და სხვა)

კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისათვის აცულებელი ნივთები და მასალები (კატრიჯები, დისკები, ეკრანი ს გასაწმენდი სითხე და სხვა) მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება კომპიუტერის ხარჯებს

6. ძირითადი საშუალებები

- ძირითადი საშუალებები კომპანიას გააჩნია ოფისის აღჭურვილობის სახით, ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხვება წრფივი მეთოდით

განმარტებითი შენიშვნები

7. ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივები აღიარდება გარიგების ფასით. სავაჭრო მოთხოვნებს არ ერიცხება სარგებელი. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ხდება ფინანსური აქტივების გადახედვა, რათა შეფასდეს, არსებობს თუ არა ობიექტური სამხილი იმისა, რომ მოთხოვნები არ არის ამოღებადი. ასეთი სამხილების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში. აქტივები, რომლებსაც ერიცხება სარგებელი (გაცემული სესხები), თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ვალდებულებები აღიარდება გარიგების ფასით. სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხება სარგებელი. ვალდებულებები, რომლებსაც ერიცხება სარგებელი (მიღებული სესხები), თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები (საპროცენტო ხარჯი) აღიარდება მოგება-ზარალში.

8. ხარჯების აღიარება

ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით

ხარჯების აღირიცხვის შინაარსი - ფუნქციური დანიშნულებით

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი საგადასახადო შეღავათების შედეგად, თანამშრომელთა ანაზღაურების ხარჯი (საშემოსავლო გადასახადი) 2020 წლის განმავლობაში შემცირდა 6679 ლარით

შპს „TECHNOLOGY SERVICE-A“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

განმარტებითი შენიშვნები

ამ ანგარიშგების მომზადებისას არ არის გამოყენებული ისეთი სააღრიცხვო შეფასებები, რომლებიც დაკავშირებულია მომავალ ფინანსურ წელიწადში აქტივების და ვალდებულებების მიმდინარე ნაშთების არსებითი კორექტირების მნიშვნელოვან რისკთან.

12. კაპიტალი -

საწარმოს არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს შესაბამისი კაპიტალის ბაზა, რომელიც დააკმაყოფილებს საწარმოს საოპერაციო და სტრატეგიულ საჭიროებებს და უზრუნველყოფს ბაზრის მონაწილეთა ნდობის შენარჩუნებას. ეს მიიღწევა ფულადი ნაკადების ეფექტური მართვით, საწარმოს შემოსავლებისა და მოგების, ასევე გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმების მუდმივი მონიტორინგის გზით,

13. გაცემული და მიღებული ავანსები

კომპანიას 2020 წლის ბოლოს აქვს გაცემული ავანსი საქონლის შესაძენად აზერბაიჯანულ კომპანიაში 7450\$ (24311,7 ლარი) და თურქულ მომწოდებლებთან 7624,45 \$ (24944,15 ლარი), ავანსად გაცემული თანხის საქონელი მიღებულია 2021 წლის იანვრის თვეში

14. მიღებული და გაცემული სესხი

კომპანიას 2019 წელს ერიცხება ბანკის სესხი .

2020 წელს კომპანიას არც მიღებული და არც გაცემული სესხი არ აქვს.

15. საექვო ვალების რეზერვი.

საწარმო კლიენტის გადახდისუუნარობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად ქმნის საექვო ვალების გაუფასურების რეზერვს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს გადახდის ვადის დარღვევა, დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუფასურება და ა.შ. ხელმძღვანელობა ამასთან ერთად ითვალისწინებს დებიტორული დავალიანებების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას,

შპს „TECHNOLOGY SERVICE-A“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

განმარტებითი შენიშვნები

კლიენტის საიმედოობას და ამის შესაბამისად ხდება სავარაუდო გაუფასურების რეზერვის შექმნა.

16. ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი.

მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ნიშნავს, რომ კომპანიას შეუძლია მიმდინარე აქტივების რეალიზაციით დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გააანალიზა არსებული ეკონომიკური გარემო, რომელშიც მას უწევს ოპერირება.

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 7 ივლისს.

კორონავირუსის პანდემია არ არის დასრულებული და არაპრაქტიკულია ამ მოვლენის პოტენციური ზეგავლენის შეფასება.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 07 ივლისს.

ალექსანდრე ხუნდაძე
დირექტორი



ნ. ზიჩაძე

ნატო ზირჩაძე
მთავარი ბუღალტერი